community

The New Apostolic Church around the world

02/2022/GE

ერთად ქრისტეში

რედაქციისგან
გზავნილი ყველასათვის

ღვთისმსახურება
ერთად ქრისტეში

საეკლესიო მოძღვრება
სიცოცხლის შენარჩუნება -
სადაც კი შესაძლებელია

New Apostolic Church
International

რედაქციისგან

3 გზავნილი ყველასათვის

ღვთისმსახურება

4 ერთად ქრისტეში

საბავშვო კუთხე

10 დავითი და იონათანი

12 სტუმრად კელვინთან ლონდონში (დიდი ბრიტანეთი)

დოქტრინა

14 სიცოცხლის შენარჩუნება - სადაც კი შესაძლებელია

Global News

18 2021 წ: სასულიერო თანამდებობა, ქალი და ბიბლია

Titelfoto: მარსელ ფელდე
Rückseitefoto: ზამბიის ახსე

გზავნილი ყველასათვის

ფოტო: საერთაშორისო ახსე

საყვარელო და-ძმანო,

ალბათ იცით იესოს ის ისტორია, როცა იგი თავის მშობლიურ ქალაქ ნაზარეთში, სინაგოგაში, თორას კითხულობდა. მან წაიკითხა ამონარიდები ესაიას წიგნიდან (61, 1-2), სადაც წერია:

„სული უფლისა, ღვთისა, ჩემზეა გადმოსული, რადგან მცხო მე უფალმა გლახაკთათვის სახარებლად; მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად, ტყვეთათვის თავისუფლების გამოსაცხადებლად და შებორკილთა ასახსნელად. გამოსაცხადებლად უფლის წყალობის წელიწადისა და ჩვენი ღვთის შურისგების დღისა, სანუგეშებლად ყოველი მგლოვიარისა.“

იესომ შეხედა შეკრებილებს და თქვა, ეს მე ვარო (შევ. ლუკ. 4, 21).

იესო ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ იგი ღარიბებისათვის, დაჩაგრულთათვის, სნეულებისა და მგლოვიარეებისათვის მოვიდა..

ეს ის ხალხი იყო, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა იგი.

თუმცა აქ მოცემულია სასიხარულო ამბავი ყველა იმათგანისათვის, ვინც თავისთვის იკითხავს: „პრინციპში მე არც ღარიბი ვარ, არც დაჩაგრული, არც სნეული და მგლოვიარე. და სახარება ჩემთვისაც არის?“

დიახ, აქ იესო, მართალია, კონკრეტულად ღარიბებს მიმართავს, მაგრამ მიმართვს იმათაც, ვინც გადატანითი მნიშვნელობით არის ღარიბი:

- იმათ, ვინც თავმდაბალია და იცის, რომ წყალობა სჭირდება;
- ვინც ცოდვის გამო ღვთისგან სიშორით იტანჯება და
- ცოდვის ტყვეობაში იმყოფება.

იესომ სახარება აუწყა მათ და მოციქულები მიავლინა მის გასავრცელებლად. სახარების საუწყებლად დღესაც მიავლენს ღმერთი მოციქულებს, ასევე ყველა ჩვენთაგანს.

სახარება ყველასათვის არის, ვინაიდან ყველა იტანჯება ცოდვისგან. ღმერთმა შემდეგის თქმა დაგვავალა: „ღმერთს ადამიანების ცოდვისგან გათავისუფლება და ისევ თავისთან თანაზიარებაში შეყვანა სურს.“

ზოგი მიიღებს სახარებას, ზოგი კი - არა. ამის გამო ფარ-ხმალს ნუ დავყრით. ეს ვერ შეუშლის ღმერთს ხელს იმაში, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოს.

გულითდი მოკითხვებით, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

ერთად ქრისტეში

საახალწლო ღვთისმსახურება შედგა 2 იანვარს გიჰორნის (გერმანია) ეკლესიაში

ფოტო: მარსელ ფელდე

მოციქულთა საქმეები 2, 44

„ყველა მორწმუნე ერთად იყო და ყველაფერი საერთო ჰქონდათ.“

ჩემო გულით საყვარელო და-ძმანო, მადლობლები ვართ მოწყალე ღვთისა, რომ ამა წლის დასაწყისშივე მოგვეცა კვლავ ერთად შეკრებისა და ღვთისმსახურების ჩატარების შესაძლებლობა, დაე, თუნდაც ჩვენთვის უჩვეულო პირობებში. კარგად მესმის, რომ წლევანდელი წლის დასაწყისი ისეთი არ არის, როგორსაც ვისურვებდით. ჩვენ სულ სხვა რამ გვინდოდა. ყველაფერი ჯერ კიდევ პანდემიით არის გაჯერებული, ყველაფერი ჯერ ისევ უჩვეულო და რთულია. თუმცა, საყვარელო და-ძმანო, ეს არ ცვლის ჩვენს 2022 წლის პროგრამას. ეს პროგრამა არის და დარჩება: ჩვენ ჩვენი უფლისა და მოძღვრის იესო ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის ვემზადებით. ეს ცარიელი სიტყვები არ არის და შეგნებულად მინდა გავუსვა ხაზი იმას, რომ ჩვენს პროგრამაში არაფერი შეიცვლება! ჩვენ უფლის მეორედ მოსვლას ველოდებით და ვემზადებით ამისთვის. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ამჟამინდელმა საზრუნავმა, ყოველდღიურობამ, პანდემიამ და სხვა დანარჩენმა ღვთიური სიცოცხლე ჩაახრჩოს. ყურადღებით უნდა ვიყოთ. არ შეიძლება,

რომ ეს მოხდეს! ბუნებრივია, ეს სერიოზული მდგომარეობაა და ჩვენც პასუხისმგებლობით ვეკიდებით ამას, გონივრულად, მაგრამ ასევე ღვთისადმი ნდობით, ვიცით რა, რომ ჩვენ ჩვენსას ვაკეთებთ, ხოლო მოწყალე ღმერთი თავისას. თუმცა ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადებაში. მე აქ საფრთხეს ვხედავ, რომელიც რეალურად იხვეჭს ძალას და მთლიანად გვთრგუნავს. არ შეიძლება, რომ ეს ასე იყოს! საყვარელო და-ძმანო, გაიხსენეთ მშობლები ან ბებია-ბაბუა, რომლებმაც ომი გადაიტანეს. ამის დრამატიზირება არ მინდა, მაგრამ მაშინ სხვა გარემოებები იყო. თუმცა ისინი კვლავაც აგრძელებდნენ უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადებას. უცხო ქვეყნებში მცხოვრებ ბევრ ჩვენს და-ძმაზეც ვფიქრობ, სადაც გაცილებით ცუდად არის საქმე, მაგ., დასავლეთ აფრიკაზე, მალიზე, ბურკინა-ფასოზე, სადაც ჩვენი და-ძმების უმრავლესობა მუსლიმი და ჯიჰადისტი ექსტრემისტების გამუდმებული საფრთხის ქვეშ ცხოვრობს. მე მოწმე ვარ იმისა, რომ ისინი კვლავაც ემზადებიან უფლის მოსვლისათვის. ვფიქრობ ჩვენს და-ძმებზე მიანმარსა და ლათინურ ამერიკაში, რომლებსაცუმძიმესპირობებში უწევთ ცხოვრება. ვფიქრობ აქაურ, გერმანელ, და-ძმებზე, რომლებიც მძიმე განსაცდელს გადიან სნეულების გამო, დიდ გასაჭირში იმყოფებიან და ერთიმეორეზე უარეს ამბებს იგებენ. თუმცა უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადებას მათგან მაინც მოელიან და ეს სრულიად ნორმალურია. ის, რაც მათ ეხება, ჩვენც გვეხება. აღარ მინდა გავაგრძელო ეს თემა, საყვარელო და-ძმანო, მოდით, ყურადღება მივაქციოთ ამას. ამ საქმეს გონებით, პასუხისმგებლობით, მაგრამ ასევე ღვთისადმი ნდობით მოვეკიდოთ, თუმცა ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს იმაში, რომ ჩვენი პრიორიტეტი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა იყოს. ჩვენ გავაგრძელებთ ამისათვის მომზადებას - დაე, მოსახდენი მოხდეს.

ღვთიური სიცოცხლე თანაზიარებაში ცხოვრებაა

ჩვენ იმას ველოდებით, რომ უფალი იესო მოვა და თან წაგვიყვანს. მე განსაკუთრებით გავუსვი ხაზი სიტყვას „ჩვენ“, ვინაიდან უფალი იმიტომ კი არ მოვა, რომ საყვარელი, სასიამოვნო მარტოხელების გარკვეული რაოდენობა წაიყვანოს. ის მოვა, რათა თემი წაიყვანოს თავისთან, მორწმუნეთა თემი, რომელიც მან სულიწმიდის ზემოქმედების შედეგად შექმნა, რამეთუ ისინი ქრისტეში გაერთიანდნენ. ეს სასძლოა და უფალი სწორედ მის წასაყვანად მოვა. ამიტომაც ჟღერს ასე ჩვენი წლევანდელი დევიზი: „ერთად ქრისტეში“. ჩვენი სურვილია, გვქონდეს საუკუნო თანაზიარება ღმერთთან. და ვინ არის სასძლო? სასძლოს ქმნიან ისინი, ვინც უფლის სულით არიან აღვსილნი და მის ნებას შეესატყვისებიან და, რომლებიც აქ და დღესვე ცდილობენ ღმერთთან თანაზიარებას. შემდგომში მათ ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში შეიყვანენ. მათ დღესვე უნდათ ღმერთთან თანაზიარება, ვინაიდან სურთ, რომ მისი სიცოცხლით იყვნენ აღვსილნი.ხშირადაღმინიშნავს,რომგანსაზღვრების მიხედვით ღვთიური სიცოცხლე თანაზიარებაში ცხოვრებას ნიშნავს. სამერთი ღმერთი მამის, ძისა და სულიწმიდის თანაზიარებას წარმოადგენს. ეს რომელიმე თეოლოგის არაჩვეულებრივი იდეა კი არ არის, არამედ ღვთიური ჭეშმარიტებაა. ძალიან ბევრი რამ იმალება ამის უკან. მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი, სულიწმიდა-ღმერთი - სამი იპოსტასი, რომლებიც მუდმივ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან და, რომელებიც ყოველთვის და საუკუნოდ ერთნი არიან. ღმერთმა ადამიანი ღვთის ხატად შექმნა. ამის გამოხატვა ასეც შეიძლება: მან ადამიანი ცალკეულ ინდივიდად კი არ შექმნა, არამედ კაცად და ქალად, რომლებსაც ერთად უნდა ეცხოვრათ. მათ ერთი და იგივე არსი, ერთი და იგივე ბუნება აქვთ, მაგრამ მათ სჭირდებათ ერთმანეთი და ერთად უნდა ეცხოვრათ, ღმერთთან და ურთიერთშორის თანაზიარებაში. და ვიდრე ეს ასე იყო, ისინი შეესატყვისებოდნენ ღვთის ნებას. მათ ჰქონდათ თანაზიარება ღმერთთან და ურთიერთშორის. ეს ურთიერთობა შემდეგ ცოდვით დაცემამ შეცვალა, მაგრამ ღვთის ნება ასეთი იყო. რა სურს ღვთის ძეს თავისი სასძლოსგან? „მამაო, დაე, ერთნი იყვნენ ისინი, როგორც მე და შენ ვართ ერთნი.“ ეს კი იმაზე მოწმობს, რომ ღვთიური სიცოცხლე თანაზიარებაში ცხოვრებაა. ჩვენი სურვილია, ამ ღვთიური სიცოცხლით ვიყოთ აღვსილნი და ვიყოთ ერთნი ღმერთთან, მაგრამ ჩვენი სურვილი ურთიერთშორის თანაზიარება და იმისკენ სწრაფვაც არის, რომ მორწმუნეთა ერთობა სულ უფრო მეტად გაძლიერდეს და უფრო მეტად გამოვლინდეს.

„ერთად ქრისტეში“ იმასაც ნიშნავს, რომ პირველი ქრისტიანების მსგავსად ჩვენც ისევ და ისევ ვხვდებით ერთმანეთს და ერთად ვზეიმობთ ღვთისმსახურებას. მოციქულთა საქმეები მოგვითხრობს, რომ მას შემდეგ, რაც სულიწმიდის მადლი მიიღეს, პირველ ქრისტიანებს ერთად ყოფნის მოთხოვნილება გაუჩნდათ. ისინი ერთმანეთის გვერდით იყვნენ და ყველაფერი საერთო ჰქონდათ. რეგულარულად დადიოდნენ ტაძარში, ესწრებოდნენ იუდაურ ღვთისმსახურებას

და შემდეგ სახლებში იკრიბებოდნენ, რათა, როგორც ქრისტიანებს, ზიარება მიეღოთ. ისინი იმაზეც ზრუნავდნენ, რომ ყველაფერი ერთად ეკეთებინათ, რათა არავის არაფერი არ მოკლებოდა - ყოველ შემთხვევაში იესრუსალიმის თემში ასე იყო, თუმცა მოგვიანებით სხვა თემებში ასე აღარ იყო. ჩვენს დროში სხვაგვარად ხდება. ყველას აქვს უფლება, ჰყავდეს საკუთარი მანქანა, ჰქონდეს საკუთარი ქონება - აქ მიწიერ სიმდიდრეზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ სულიერ სიმდიდრეზე. ბევრი რამ გვაქვს საერთო. გვაქვს ერთი და იგივე მოწოდება, ერთი და იგივე რწმენა, გვყავს ერთი და იგივე უფალი და მოძღვარი, ერთი და იგივე მომავალი გვაქვს: ქრისტეა ჩვენთვის ყველაფერი! და ვინაიდან ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ყველაფერი საერთო გვაქვს, უბრალოდ იმის მოთხოვნილება გვიჩნდება, რომ ერთად შევიკრიბოთ ღვთისმსახურებაზე და ღმერთთან და ურთიერთშორის თანაზიარება გვქონდეს. ამასთან დაკავშირებით პავლე ამბობს, რომ, ვინაიდან ერთი სული გვაქვს, თანამოაზრენიც ვართ და ერთად ყოფნის მოთხოვნილებაც გვაქვს, რათა ერთსულოვნად ერთი ბაგით ვადიდოთ ღმერთი. მაშასადამე დასკვნა ასეთია: ის, ვინც მივიდა რწმენასთან, ვინც სულიწმიდის მადლს ატარებს, არის ეკლესია, რომელიც სულიწმიდით არის აღვსილი, თანამოაზრე და ერთსულოვანია იმაში, რომ ერთი ბაგით აქოს და ადიდოს ღმერთი. უფალი იესო ყველას ერთად გვიხმობს, ვინაიდან სურს, რომ ჩვენთან ერთად ილოცოს, ჩვენთან ერთად ჭამოს, ერთად გაგვაძლიეროს ისევე, როგორც მოწაფეები გააძლიერა: „ყველა ჩემთან მოდით!“ ის ზრუნავს ჩვენზე, ის ჩვენს შორის და ჩვენთან ერთად არის.

ღვთისმსახურებაზე დასწრებას სოციალური განზომილება გააჩნია

ეს პირადი აზრია: ღვთისმსახურებაზე დასწრებას სხვა სოციალური განზომილება გააჩნია. გთხოვთ, ცუდად ნუ გამიგებთ, ეს პოლიტიკური განაცხადი არ არის, მაგრამ ადამიანები ასე არიან შექმნილნი: თუ მათ თავიანთი აზრის გაცხადება სურთ და ეს მათთვის მნიშვნელოვანია, მაშინ ისიც იციან, რომ „თუ მე ამას მარტო გავაკეთებ, ვერაფერს გავხდები.“ და რას ვაკეთებთ მერე იმისათვის, რომ გაიგოს ყველამ, თუ რას ვფიქრობთ ახლა და რა გვსურს? მერე ვაგროვებთ ხელმოწერებს ანდა დემონსტრაციებს ვაწყობთ და ქუჩაში გამოვდივართ, ყველა ერთად, ვინაიდან ვიცით, რომ ასე უფრო მივაღწევთ შეთანხმებას. თუ ყველა ერთად გავაკეთებთ ამას, თუ ყველა მოვაწერთ ხელს, თუ ყველა იგივე წერილს გავაგზავნით, თუ ყველა გამოვალთ დემონსტრაციაზე, მაშინ ყურადღებას მოგვაქცევენ. კარგად გვესმის, რომ ერთად გაცილებით მეტს შევძლებთ. საყვარელო და-ძმანო, ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, გვინდა განვაცხადოთ, რომ არ ვეთანხმებით ამქვეყნად ბოროტების ბატონობას. ჩვენ ბოროტების ბატონობის წინააღმდეგნი ვართ

და მომხრე ვართ იესო ქრისტეს ბატონობისა. მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ კარგია, როცა ამას ყველა ჩვენთაგანი თავისი ადგილიდან აცხადებს, მაგრამ თუ ქრისტიანები ღვთისმსახურებაზე არ შეიკრიბებიან, ეს ბევრს არაფერს მოიტანს. ამდენად, ღვთისმსახურებაში მონაწილეობას სოციალური განზომილებაც გააჩნია. აქ ქრისტიანები მოწმობენ, რომ არ ეთანხმებიან იმას, რაც მათ თვალწინ ხდება, არიან ბოროტების წინააღმდეგნი და იესო ქრისტეს მომხრენი. ღვთისმსახურებაზე ჩვენ თანაზიარებას განვიცდით.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს უფრო შორს მიდის. ღვთისმსახურებაზე ყველა თავის ადგილზე ზის, დიახ, ერთმანეთის მოკითხვაც შეუძლიათ, გასაუბრებაც, მაგრამ ეს უმნიშვნელოა. უფრო წინ უნდა წავიდეთ. თანაზიარებაში ცხოვრებაც უნდა ვისწავლოთ. ეს არის შემდეგი ნაბიჯი. თემის ერთიანობისათვის თანაზიარებაში ცხოვრებაც უნდა ვისწავლოთ. თანაზიარებაში ცხოვრება იმის დაძლევის სწავლასაც ნიშნავს, რაც ერთმანეთს გვაშორებს. იმდენი რამეა, რაც გვაშორებს, და ეს სრულიად ნორმალურია. ჩვენ ხომ ყველა განვსხვავდებით ერთმანეთისგან, ყველას თავისი აზრი აქვს, ყველას თავისი იდეები აქვს, ყველა თავისებურია და ეს სრულიად ნორმალურია. უბრალოდ უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ მოვექცეთ ამას. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ვთქვათ საკუთარ იდენტობაზე და ყველა ერთ ყალიბს მოვერგოთ, ყველა ერთნაირი ვიყოთ, მიზანი ეს არ არის. მხოლოდ ის უნდა ვისწავლოთ, რომ პატივი ვცეთ და მივიღოთ მოყვასის სხვაგავარობა. ჩვენს ეპოქაში თვალშისაცემია ის, რომ სულ უფრო მეტად სულელურად იყენებენ კომუნიკაციის საშუალებებს. ადამიანებს არასოდეს ჰქონიათ კომუნიკაციის ამდენი შესაძლებლობა. და რას აკეთებენ ისინი? ეს სულ უფრო მეტად მხვდება თვალში: მათ პრინციპში მხოლოდ იმათთან აქვთ ურთიერთობა, ვინც მათსავით ფიქრობს და მათნაირიები არიან. აქეთ ერთი ჯგუფია, იქით - მეორე, რომლებიც ელაპარაკებიან და ელაპარაკებიან ერთმანეთს, და, ამდენად, იმათზე არიან ფოკუსირებულნი, ვინც მათსავით ფიქრობს და მათნაირები არიან. მთავარი ეს არ არის. ჩვენ მოყვასის სხვაგვარობის პატივისცემა და მიღება უნდა ვისწავლოთ. და ეს ასე მარტო იმიტომ კი არ უნდა იყოს, რომ მშვიდობა გვინდა და გვინდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყოს - არა, ეს გაცილებით შორს მიდის. უნდა ვისწავლოთ და დავამტკიცოთ კიდეც, რომ ის, რაც საერთო გვაქვს, იმაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, რაც გვაშორებს ერთმანეთს. ეს არის გარდატეხის წერტილი. ჩვენ ყველას ერთად ქრისტე გვყვს. ჩვენ გვაქვს მომავალი, კიდევ ერთხელ, მოწოდება, მსახურება, რომელიც უნდა აღვასრულოთ. ყოველივე ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ვიდრე საკუთარი აზრი, საკუთარი განსხვავებულობა. და აქ ძალიან დიდ პრობლემას ვხედავ: ჩემი აზრი, ჩემი პიროვნება იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ის, რაც საერთო მაქვს ჩემს ძმასთან: ქრისტე, რწმენა, მომავალი. და-ძმანო, ასე არ შეიძლება. მოდით, ვძლიოთ იმას, რაც გვაშორებს ერთმანეთს, და ასე გასაგები გავხადოთ, რომ ქრისტეა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ეს საერთოა ყველა ჩვენთაგანისათვის.

თანაზიარება გაზიარებისთვის მზადყოფნასაც ნიშნავს. ეს ჯერ კიდევ იოანე ნათლისმცემლით დაიწყო. დიახ, როცა მან ეს თქვა, მისი ეს მოწოდება არც ისე კარგად მიიღეს. მაგრამ მან დაბეჯითებით განუცხადა იუდეველებს: „ვისაც ორი ხელი სამოსი აქვს, მისცეს არმქონეს.“ იმჟამად ეს არ მოეწონათ და სავარაუდოდ დღეს კიდევ უარესად არის საქმე. არც აქ არის ლაპარაკი ჩვენს ფულზე, სახლსა

და მანქანაზე - ლაპარაკია დამოკიდებილებაზე, განწყობაზე. ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა სულიწმიდას, რომ, იოანე ნათლისმცემლის მეშვეობით, ადამიანებს ყურადღება შემდეგზე გაემახვილებინათ: შენს მოყვასსაც უნდა შეხედო, დაინახო მისი გასაჭირი და დაეხმარო. ამის უკან ეს დგას. მარტო საკუთარ თავზე კი არ უნდა იფიქრო, არამედ უნდა სძლიო ეგოიზმს, ეგოცენტრიზმს, აღიქვა მოყვასის გასაჭირი და დაეხმარო მას. აი, ეს არის ის, რასაც ქრისტიანად ყოფნა ჰქვია! ცოტა უფრო შორს უნდა გავიხედოთ. საკუთარი თაობის მიღმა უნდა გავიხედოთ. ეს ერთგვარი პრობლემაა ჩვენს საზოგადოებაში. ყველა თაობას თავისი მოთხოვნილებები აქვს, თავისი სურვილები და ამისთვის საკმაოდ ეგოისტურად იბრძვის. მოდით, ჩვენი საკუთარი თაობის მიღმა გავიხედოთ და დავინახოთ, თუ რა სჭირდებათ სხვა თაობებს, ჩვენს წინა თაობას თუ შემდგომს, დავინახოთ, თუ რა მოთხოვნილებები აქვთ მათ, რათა მათი დაკმაყოფილება ვცადოთ. მოდით, უფრო შორს გავიხედოთ, ვიდრე ჩვენი საკუთარი თემია, მოდით, უფრო შორს გავიხედოთ, ვიდრე ჩვენი საკუთარი ქვეყანაა, მოყვასის გასაჭირიც დავინახოთ, ყველა თვალსაზრისით, და დავეხმაროთ მას.

ვიცხოვროთ თანაზიარებაში - პავლემ ეს შესანიშნავად აღწერა, მან ქრისტეს სხეულის მაგალითი მოიყვანა. ეს შესანიშნავი ახსნა-განმარტებაა, შესანიშნავი სურათია თანაზიარებაში ცხოვრებისა. ქრისტეს სხეული. პავლე მოციქული საკმაოდ სხარტად ამბობს: თვალი ვერ იტყვის ხელი არ მჭირდებაო. თავი ვერ იტყვის, ფეხი არ მჭირდებაო. თანაზიარება, ერთობა ეს არის ის, რაც ღმერთმა ინება, ვინაიდან ძალიან კარგად იცოდა მან, რომ ყველას თავისი მსახურება უნდა შეესრულებინა, მარტო კი ამას ვერ შეძლებდნენ. თუ ქრისტეს ეკლესიას მსახურების აღსრულება სურს, მაშინ ყველამ ერთად უნდა გააკეთოს ეს. მარტოხელა იმ მსახურებას ვერ შეასრულებს, რასაც იესო მოელის მისგან. ეს საერთოა. ამას მხოლოდ ერთად შევძლებთ როგორც ეკლესია და როგორც იესო ქრისტეს თემი. ჩვენ გვჭირდება ქრისტეს სხეული. ეს განსაკუთრებით ეხება მღვდელმსახურებსა და თემს შორის ურთიერთობას. ისე არ არის, რომ მღვდელმსახურები თავისთვის არიან, თემი კი თავისთვის არის. თემი ვერ გავა ფონს მღვდელმსახურების გარეშე, მღვდელმსახურები კი მხოლოდ თავის ხსნაზე ვერ იმუშავებენ. არა. მათ ერთმანეთი სჭირდებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა. ისინი მხარში უდგანან ერთმანეთს, ერთმანეთისთვის ლოცულობენ. ბიბლიაში ეს ძალიან კარგად არის აღწერილი. იქ ლაპარაკია იმაზე, რომ ერთი თესავს, ხოლო მეორე იმკის. მაშასადამე, დავალებები, პასუხისმგებლობა სხვადასხვაა, მაგრამ სიხარული საერთოა. საყვარელო და-ძმანო, თემში ყველას თავისი ამოცანა აქვს, თავისი პასუხისმგებლობა აკისრია. ერთს ერთი ნიჭი აქვს, მეორეს - მეორე - ამდენად, დავალებებიც განსხვავებულია. თუ ყველა შეასრულებს თავის ადგილას მასზე დაკისრებულ დავალებას, საერთო სიხარული გვექნება და ეს არის სიხარული იესო ქრისტეში.

ჩემო კარგებო, თანაზიარება გაცემისათვის მზადყოფნასაც ნიშნავს, მაგრამ ასევე - და ეს ძალიან მნიშვნელოვანი პუნქტია - მიღებისათვის მზადყოფნასაც. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ მიღება საკმაოდ იოლია. მაგრამ ეს იოლი სულაც არ არის. ვხედავ, რომ სულ უფრო მეტი ადამიანია ისეთი, ვინც ასე ფიქრობს: „არავისი არაფერი მინდა, არ მინდა ვინმეზე ვიყო დამოკიდებული, არ მინდა შებორკილი ვიყო, მინდა დამოუკიდებელი ვიყო.“ ამ დროს ადამიანს ურჩევნია, რომ არავისგან არაფერი არ აიღოს, ვინაიდან არ უნდა, რომ ვინმეზე იყოს დამოკიდებელი. მარტივად ცხოვრება ურჩევნია. სჯობს მქონდეს ცოტა, ვიდრე ვინმესგან რამე ავიღო. საზოგადოება სწორედ ამ გზით ვითარდება, არავის არაფერი არ უნდა სხვისგან, რადგან არ უნდა, რომ იყოს დამოკიდებული, ვინმეს ვალი ჰქონდეს, თავისთვის ყოფნა ურჩევნია. ეს სრულიად ეწინააღმდეგება ქრისტეს სხეულის სურათს და, ამდენად, ღვთის ნებას. ღვთის ნება კი არის ის, რომ გავცეთ, მაგრამ მივიღოთ კიდეც, ვიყოთ თავმდაბალნი და ვთქვათ, რომ სხვების გარეშე ვერაფერს გავხდებით. ეს თანაზიარებაში ცხოვრებასაც ეხება. 2022 წელსაც იმ აზრით ვიმუშაოთ, რომ თანაზიარებაში ცხოვრება გვინდა; გვინდა დავძლიოთ ყოველივე, რაც ერთმანეთს გვაშორებს, ვინაიდან ეს არის ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - უფალი, მიზანი, სული, მოწოდება. ჩვენ განვსხვავდებით ერთმანეთისგან, გვაქვს სხვადასხვა შეხედულებები, და ეს ასეც იქნება - მე ფრანგად დავრჩები, თქვენ კი - გერმანელებად, - ეს ნორმალურია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რაც საერთო გვაქს. მოდით, დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შევძლოთ სულ უფრო მეტი და ინტენსიური გაზიარება. ყოველმხრივ აღვიქვათ მოყვასის გასაჭირი და დავეხმაროთ მას, და მოდით, ნამდვილად ისე ვიმსახუროთ, როგორც ქრისტეს სხეულმა. ერთად შევასრულოთ მსახურება, მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს და თავადაც მზად ვიყოთ იმისათვის, რომ ჩვენც მივიღოთ, ვინაიდან ვხვდებით, რომ მარტო ვერაფერს გავხდებით.

ამ თანაზიარების მეოთხე და ბოლო ასპექტი ცოცხლებისა და მკვდრების ერთობაა. ესეც რაღაც

სამხ. მოციქული ჰელგე მუჩლერი თანაქადაგების დროს (ზემოთ)
მოციქული რალფ რიკარისმანმა თქვა, რომ ურთიერთობებს უნდა გავუფრთხილდეთ (ზემოთ)

პირველმოციქული საქორწინო ლოცვა-კურთხევას მოჰფენს დამსახურებულ პენსიაში მყოფ მოციქულ ედმუნდ შტეგმაიერსა და მის მეუღლე გერდას (მარჯვნივ)

ძალიან კარგია. ჩვენ ხომ ცალკე სამყაროში არ ვცხოვრობთ. ეს ერთი თემია, ერთი ეკლესია, ხილული და უხილავი, ცოცხლები და მკვდრები. მინდა იმას დავუბრუნდე, რაც უკვე ვახსენე: რაც წინა თაობებმა დათესეს, იმას ვიმკით დღეს. ჩვენ მათი ნამოღვაწარით ვცხოვრობთ, მათი თავგანწირვით, იმით, რაც ააშენეს. მათ დათესეს და ჩვენ ვიმკით, მაგრამ სიხარული საერთოა. ეს საიქიოში მყოფ სულებსაც ეხება: სააქაოშიც და საიქიოშიც ერთი სხეული გვაქვს, ერთ ეკლესიას ვეკუთვნით, ერთი სული გვაქვს, სულიწმიდა, ერთი პური, წმიდა ზიარება, ერთი მომავალი გვაქვს, ერთი რწმენა გვაქვს. როცა საიქიოში მყოფ საყვარელ ადამიანებზე ვფიქრობთ, ისეთებს ვხედავთ მათ, როგორებიც ადრე იყვნენ. ეს ასე არ არის. და-ძმანო, ისინი რაღაცნაირად ესწრებიან ღვთისმსახურებას და სულიწმიდის გავლენას განიცდიან. ისინი არ გაჩერებულან, ჩვენს მხარდამხარ მოდიან. ისინი არ დარჩენილან იმ აზრზე, 50 წლის წინ ან 10 წლის წინ რომ ჰქონდათ - სულიწმიდას თან დაჰყავს ისინი. ხოლო პირობები იმისათვის, რომ მზად ვიყოთ თანაზიარებაში ზრდისათვის, ზუსტად ერთნაირია სააქაოშიც და საიქიოშიც. ეს კიდევ ერთხელ უნდა გავაცნობიეროთ. როცა გვიყურებენ, არ ნერვიულობენ და ამბობენ: „აჰ, დღეს ასეა.“ მათ სულიწმიდის იგივე მოძღვრება აქვთ, რაც ჩვენ, მჯერა და სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ისინი ჩვენთან ერთად მოდიან, და იგივე ღვთის სიტყვა აქვთ, რაც ჩვენ. ისინი დღესაც ისე აზროვნებენ, როგორც ჩვენ ვაზროვნებთ ან უნდა ვაზროვნებდეთ, თუკი სულიწმიდას მივყვებით. ერთი სული, ერთი მომავალი, ერთი სიხარული. ხომ კარგია, როცა გვჯერა, რომ ეს ცალკეული სამყაროები არ არის, არამედ არის ხილული და უხილავი, მაგრამ ისინი ჩვენთან არიან, ჩვენი საყვარელი ადამიანები საიქიოდან. ისინი იგივე ღვთისმსახურებას ესწრებიან, იგივე გზას მიუყვებიან და იგივე მიზანი აქვთ, რაც ჩვენ. და როცა უფალი მოვა, თავისთან წაგვიყვანს, ცოცხლებსაც და მკვდრებსაც, და მაშინ ნამდვილად ერთი გული და ერთი სული ვიქნებით. ჩვენ გვექნება ჩვენი სული, ჩვენი სამშვინველი, და გვექნება სხეული, აღდგომის სხეული. სული ანგელოზივით არ ივლის აქეთ-იქით, ისევ სხეული გვექნება, ხორცი, და ყველა მიხვდება, რომ შენ შენ ხარ და მე მე ვარ, პიროვნება რჩება, იდენტურობა რჩება, მხოლოდ ყოველივე უსახური გარდავა. მერე ყველანი სრულქმნილნი ვიქნებით ქრისტეში და საუკუნო თანაზიარება გვექნება ჩვენს უფალთან. და-ძმანო, ეს არის ჩვენი მომავალი. ჩემი თხოვნა იქნება, ყურადღება არ გავაფანტინოთ იმას, რაც ჩვენს გარშემო ხდება. რა თქმა უნდა, ეს სერიოზულია, მაგრამ არც ისე სერიოზული, რომ დავივიწყოთ: უფალი მალე მოვა. ამინ!

ძირითადი აზრები

- თანაზიარებაში ცხოვრების სწავლა ქრსიტეს მეორედ მოსვლისათვის ჩვენი სულიერი მომზადების ნაწილია.
- ჩვენ განსხვავებების დაძლევას, ურთიერთსოლიდარობას და ქრისტესათვის ერთად მსახურებას ვსწავლობთ.

დავითი და იონათანი

1. მეფ. 18-20-ის მიხედვით

მას შემდეგ, რაც დავითმა ფილისტიმელები გოლიათთან ბრძოლაში დაამარცხა, იგი იონათანის მამის, მეფე საულის სახლში ცხოვრობდა. დავითი და იონათანი მეგობრები იყვნენ.

მომდევნო მეფე პრინციპში იონათანი უნდა გამხდარიყო, ვინაიდან იგი მეფისწული იყო. მაგრამ ღმერთმა დავითი ამოირჩია მემკვიდრედ. ამის გამო იონათანს ეჭვიანობა არ დაუწყია. დავითი მისი მეგობარი იყო და უყვარდა მას. ამის დასამტკიცებლად იონათანმა დავითს თავისი „შესამოსელი, მახვილი, მშვილდი და სარტყელი“ აჩუქა. მეფე საულმა კი ეჭვიანობა დაიწყო, ვინაიდან დავითი კარგი მებრძოლი იყო და ხალხს იგი მეფეზე მეტად უყვარდა. საული სულ უფრო მეტად მწარდებოდა და ერთ დღესაც შუბი ესროლა დავითს, რომელიც ამ დროს ქნარზე უკრავდა. დავითმა აიცილა, თუმცა საულს მისი მოკვლა უნდოდა. იონათანმა გააფრთხილა თავისი მეგობარი: „ხვალამდე დაიმალე! დაველაპარაკები მამაჩემს და გეტყვი, თუ რას აპირებს“. იონათანი დაელაპარა მამამისს და დავითს გამოექომაგა: „მუდამ შენთვის იბრძოდა, გოლიათი დაამარცხა, შენი საწინააღმდეგო არასოდეს არაფერი გაუკეთებია. რატომ გინდა ამ უდანაშაულოს მოკვლა?“
საული შეჰპირდა თავის ძეს, რომ არაფერს დაუშავებდა დავითს, იონათანმა გადასცა ეს მეგობარს და დავითიც უკან დაბრუნდა. მაგრამ მეფემ დაიკავა მიცემული პირობა და ისევ ესროლა შუბი დავითს. მან ისევ აიცილა.
იმავე ღამეს დავითი გაიქცა. იგი კიდევ ერთხელ დაბრუნდა, რათა თავისი მეგობრისათვის, იონათანისათვის, ეკითხა: „იონათან, რა შემეშალა? რატომ უნდა მამაშენს ჩემი მოკვლა?“ მან კი მიუგო: „არ მოკვდები. მამაჩემი ხომ შემპირდა.“
„ხო“, უთხრა დავითმა, „მაგრამ მამაშენმა იცის, მეგობრები რომ ვართ, და ალბათ ამიტომაც არაფერს გეუბნება.“
იონათანმა გადაწყვიტა გაერკვია, მართალს ამბობდა თუ არა დავითი. მერე მსახურთან ერთად დაბრუნდებოდა და სამ ისარს ისროდა.

თუ იონათანი მსახურს, რომელიც ისრებს შეაგროვებდა, ეტყოდა: „აჰა, შენს ახლოს არის ისრები“, ე. ი, ყველაფერი კარგად იქნებოდა და დავითი მეფის სასახლეში დაბრუნებას შეძლებდა. მაგრამ თუ მსახურს ამ სიტყვებით დაუძახებდა: „აჰა, შენს იქით არის ისრები“, მაშინ საფრთხე ემუქრებოდა დავითს და უნდა გაქცეულიყო.
ხელახლა შეჰფიცა ორივემ ერთმანეთს ერთგულება და დავითი მინდორში დაიმალა.
ამასობაში დიდი ნადიმი გაიმართა სასახლეში.
საულმა იკითხა, თუ რატომ არ იყო დავითი იქ. იონათანმა გაამართლა მისი მეგობრის არყოფნა. იმის გამო, რომ იონათანი დავითის მხარეზე იყო, საული ისე გაამწარდა, რომ საკუთარ შვილს შუბი ესროლა. იონათანი დავითის სიმართლეში დარწმუნდა - ის უნდა გაქცეულიყო.
იმდენად დამწუხრებული იყო იონათანი ყოველივე ამის გამო, რომ იმ ღამით სავახშმოდ არ მივიდა.
მსახურთან ერთად მინდორში წავიდა დავითის გასაფრთხილებლად. ისროლა სამი ისარი და მსახურს დაუძახა: „აჰა, შენს იქით არის ისრები!“ შემდეგ ისრები და მშვილდი მსახურს მიაჩეჩა და წინ გაუშვა. მას კიდევ ერთხელ უნდოდა დავითის ნახვა. ისინი გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და ორივე ატირდა, რადგან ვეღარ ნახავდნენ ერთმანეთს.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა №6. 2021 წ.; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად კელვინთან ლონდონში (დიდი ბრიტანეთი)

გამარჯობათ! ეს მე ვარ, კელვინი, ჩემს ბაჭიებთან, პუფისთან და მარბელთან ერთად. ათი წლის ვარ და მინდა ცოტა ჩემზე და ჩემს მსობლიურ ქალაქ ლონდონზე გიამბობთ.

ჩემი მშობლები, ელენი და მაიკლი, არქიტექტორები არიან. როცა ყველა ერთად ვმოგზაურობთ, სულ შენობებს ვათვალიერებთ და ხშირად ვსტუმრობთ გამოფენებს.

დედაჩემი ძალიან ახალგაზრდა დაავადდა დემენციით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანდათან კარგავს მეხსიერებას. ამიტომაც უკვე სამი წელია სპეციალურ პანსიონატში ცხოვრობს. ორ დღეში ერთხელ ვნახულობთ მას და, როცა კარგი ამინდია, მასთან ერთად ვსეირნობთ პარკში.

ჩემი ოჯახის დანარჩენი წევრები გერმანიაში ცხოვრობენ. მე მიყვარს მათთან სტუმრობა შობის დღესასწაულზე და ზაფხულში. ბაბუის 70 წლის იუბილეზე ყველა ერთად შევიკრიბეთ და აღვნიშნეთ. მას და მამაჩემს ოთხი და-ძმა ჰყავთ, ასე რომ საკმაოდ დიდი ოჯახი ვართ!

მიყვარს ტიპიური ინგლისური საუზმის მომზადება: შემწვარი კვერცხის ტოსტთან ერთად, ფაფის (შვრიის) ან ბლინების მომზადება.



აქ თქვენ სასკოლო ფორმაში მხედავთ, სკოლაში მისვლის პირველ დღეს, აქ ოთხი წლის ვარ. მე ორენოვან სკოლაში დავდივარ, გაკვეთილები ინგლისურად და გერმანულად გვიტარდება.

ლონდონი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქია. როცა სტუმრები გვყავს, ქალაქს ვათვალიერებინებთ ხოლმე. წმინდა პავლეს ტაძარი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტაძარია. საოცარი აკუსტიკა აქვს: თუ ეკლესიაში ვინმე რაღაცას ჩურჩულებს, დარბაზის მეორე ბოლოში ისმის. ამას გარდა, ლონდონის ცნობილი ღირსშესანიშნაობაა ასევე ტაუერის ხიდი, ეშმაკის ბორბალი „ლონდონის თვალი“ და მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმი, სადაც ცნობილი პიროვნებების ნახვა შეგიძლიათ, რომლებიც ცვილის ფიგურების სახით არიან წარმოდგენილნი.

ჩემს თემში, ლონდონის ცენტრალურ ეკლესიაში, სხვა ბავშვებსაც ვხვდები. ღვთისმსახურების შემდეგ ხშირად ვრჩებით ხოლმე და ერთად ვსადილობთ. ამასთანავე, აქ გემრიელი საჭმელებია მთელი მსოფლიოდან, ვინაიდან ჩვენს ეკლესიაში ბევრი ადამიანი დადის, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებიდან არიან.

კუნძულზე ცხოვრება იმით არის კარგი, რომ არასოდეს არ ხარ შორს სანაპიროდან. ზღვაზე კიბორჩხალების დაჭერა მიყვარს, რომლებსაც მერე ისევ ზღვაში ვუშვებ. გარდა ამისა, ხშირად დავდივარ ველოსიპედით, ვვარჯიშობ კარატეში და ხელსაქმით ვარ დაკავებული. ეს დრაკონი სკოლაში გავაკეთე, როცა წმინდა გიორგის ისტორია მოვისმინეთ, რომელმაც ურჩხული მოკლა.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 06. 2021 წ.; ფოტოები: პირადი; ილუსტრაციები: ©ibom; ©siraanamwong; © Tatyana Okhitina - stock.adobe.com

სიცოცხლის შენარჩუნება – სადაც კი შესაძლებელია

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფეხმძიმობის შეწყვეტისათვის გასაგები ინდივიდუალური მიზეზები არსებობს, ამ გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული შორსმიმავალი შედეგების გამო ეკლესიის თვალსაზრისს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ფეხმძიმობის შეწყვეტაში იგულისხმება ნორმალურად მიმდინარე ფეხმძიმობის გამზრახ შეწყვეტა. ხდება ემბრიონის ანუ ნაყოფის მოკვდინება. ფეხმძიმობის შეწყვეტის დაშვება, სოციალური თვალსაზრისით, საკამათო თემაა. ამავე დროს, დისკუსია მიმდინარეობს ემბრიონის ანუ ნაყოფის სიცოცხლის უფლების, ქალის თვითგამორკვევის უფლებისა და მშობელთა პასუხისმგებლობის შესახებ, ასევე რელიგიური მცნებებისა და ეთიკური ნორმების შესახებ. შედეგად ვიღებთ საკმაოდ განსხვავებულ შეფასებებსა და იურიდიულ რეგულაციებს.

ფეხმძიმობის შეწყვეტისას სამედიცინო რისკებთან ერთად ამ ჩარევამ შეიძლება ფსიქიური პრობლემებიც გამოიწვიოს. ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებამდე დედებმა ან მშობლებმა, სამედიცინო პროგნოზთან ერთად, დეტალურად უნდა განიხილონ ფეხმძიმობის ან ფეხმძიმობის შეწყვეტის სოციალური და ფსიქიური ასპექტებიც.

სიცოცხლის დამცველი

სიცოცხლე ღმერთმა მოგვცა. ადამიანის სიცოცხლე დაცული და შენარჩუნებული უნდა იქნას. ახალსამოციქულო ეკლესია სიცოცხლის დამცველია.

სიცოცხლე კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმით იწყება. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი უკვე ინდივიდუალურ სიცოცხლეს წარმოადგენს, რომელსაც დაცვის უფლება აქვს. არასოდეს არ უნდა მოხდეს ბავშვის სიცოცხლის უგულვებელყოფა. ქრისტიანული რწმენის მიხედვით ბავშვები ღვთის საჩუქარია, ხოლო ყოველი ადამიანი ღვთის მიერ სასურველი, შექმნილი და საყვარელია. კვერცხუჯრედის განაყოფიერების შედეგად ჩასახვის მომენტიდან ადამიანი გასულიერებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მეხუთე მცნების დარღვევა

ახალსამოციქულო ეკლესია უარყოფს ფეხმძიმობის შეწყვეტას, ვინაიდან ეს მეხუთე მცნების დარღვევას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებული დანაშაულის სიმძიმე განსხვავებული შეიძლება იყოს ღმერთის წინაშე; მხოლოდ ღმერთი ზომავს მას. აქ გადამწყვეტი ის არის, რომ თავად ცოდვილი მიხვდეს და გააცნობიეროს ის, რაც ჩაიდინა; გარკვეულმა გავლენებმაც შეიძლება თავისი როლი შეასრულოს, მაგ., ზოგადმა ცხოვრებისეულმა სიტუაციებმა, სოციალურმა სტრუქტურებმა, სახელმწიფო სამართლებრივმა ნორმებმა, საგანგებო მდგომარეობებმა.

გამოცდილება გვასწავლის, რომ ფეხმძიმობის შეწყვეტა მორწმუნე ქრისტიანებშიც შეიძლება საკამათო თემად იქცეს. მართალია, ამ დროს ფეხმძიმობის დასრულების მიზეზები ინდივიდუალურია, მაგრამ სოციალური გარემოს ქცევაზეც არის დამოკიდებული.

თუ სამედიცინო კვლევის შედეგების მიხედვით ფეხმძიმობის ვადის ბოლომდე მიყვანით დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მაშინ დედის სიცოცხლის გადარჩენა უნდა მოხდეს. ამის მიუხედავად მაინც ირღვევა მეხუთე მცნება, თუმცა დანაშაული აქ საკმაოდ მცირე შეიძლება იყოს. ფეხმძიმობის შეწყვეტის სხვა მიზეზების შემთხვევაში ალტერნატივა შეიძლება არსებობდეს, ბავშვის გაჩენა და მერე გაშვილება.

პირადი პასუხისმგებლობა და სასულიერო ზრუნვა

გადაწყვეტილების მიღების საკმაოდ ფართო მნიშვნელობის გამო მოციქულიც უნდა იქნას ჩართული ამ პროცესში. ის სასულიერო მზრუნველობას განაპირობებს. დედებს ან წყვილებს, რომლებსაც სამედიცინო, პირად

და თეოლოგიურ თვალსაზრისებთან შეჯახება მოუწიათ, შეუძლიათ იმის იმედად იყვნენ, რომ ეკლესია პატივისცემით მოეკიდება მათ პასუხისმგებლობას ფეხმძიმობის შეწყვეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით - მომხრე ან მოწინააღმდეგე - და მიუკერძოებელად გაუწევს სასულიერო მზრუნველობას. ცოდვისა და და ნაშაულის შესახებ მათი ცოდნიდან გამომდინარე და ამასთან დაკავშირებული შედეგების საფუძველზე ეკლესია ფეხმძიმობის შეწყვეტის შემთხვევაში ორივე მშობელს ურჩევს, რომ აღიარონ ჩადენილი ცოდვა ღმერთის წინაშე და მიტევება სთხოვონ მას. ფეხმძიმობის შეწყვეტა საზოგადოებისათვის მგრძნობიარე სფეროა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მღვდელმსახურის მხრიდან დუმილის ვალდებულებას (კონფედეციალობას)!

სასიცოცხლო საფრთხე დედისათვის

თუ ქალს ფეხმძიმობის გამო სიცოცხლისათვის ამკარა და უდავო საფრთხე დაუდგინდა, ეკლესია ფეხმძიმობის შეწყვეტის წინააღმდეგ თავის მოსაზრებებს უკანა პლანზე სწევს და მხარს უჭერს დედის სიცოცხლის გადარჩენას.

მსგავს სიტუაციებში მკურნალი ექიმები, მდგომარეობიდან გამომდინარე, ფეხმძიმობის შეწყვეტას ურჩევენ უსაფრთხოების მიზნით, ვიდრე ეს საფრთხე ფაქტიურად დადგება. მდგომარეობის აწონ-დაწონვა მთელი სიფრთხილით უნდა მოხდეს.

ბავშვის მძიმე დაზიანებები

ბავშვის მძიმე დაზიანებების მიზეზები შეიძლება იყოს გენეტიკური დეფექტი, ქრომოსომული დარღვევები და ფეხმძიმობის პერიოდში გარეგანი ფაქტორების ზეგავლენა, როგორიცაა, მაგ., ალკოჰოლი, ინფექციური დაავადებანი ანდა მედიკამენტების გვერდითი მოვლენები. ბევრ ქვეყანაში არსებობს სამედიცინო რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც ექიმებმა პაციენტებს სპეციალური წინასამშობიარო (პრენატალური) დიაგნოსტიკის ჩატარება უნდა ურჩიონ მაღალი რისკის არსებობის შემთხვევაში, მაგ., როცა სახეზეა ცნობილი მემკვიდრეობითი დაავადებები ან დედა მშობიარობისათვის ხანდაზმულია. პრენატალური დიაგნოსტიკის ეს ფორმა კონცენტრირებულია სავარაუდო დეფექტებზე. მას არ ძალუძს დააფიქსიროს ყველა შესაძლებელი ანომალია, განსაკუთრებით კი უნარშეზღუდულობის სიმძიმე. მეორე მხრივ, არც ჯანმრთელი ბავშვის დაბადების გარანტირება არ შეუძლია.

ამასობაში ზოგიერთ ქვეყანაში სავალდებულოც კი გახდა, რომ დიაგნოზის დასმამდე დეტალური კონსულტაციები ჩატარდეს ამგვარი გამოკვლევის შესაძლებლობებისა და შედეგების თაობაზე, რათა დედას ან მშობლებს გადაწყვეტილების მიღება გაუადვილდეთ. მშობლებს „არცოდნის“ უფლება აქვთ და შეუძლიათ უარი თქვან შეთავაზებულ გამოკვლევებზე. თუ მძიმე ფიზიკური და/ან გონებრივი დეფექტის დიაგნოსტირება ხდება და ამის შესახებ მშობლებს ატყობინებენ, მათი უნებური რეაქცია ხშირად გლოვას წააგავს. ჯანმრთელი ბავშვის ყოლის იმედი იმსხვრევა, ისინი „კარგავენ“ მას და პირველ წუთებში უარს ამბობენ ინვალიდ ბავშვზე. ასეთ სიტუაციაში ფეხმძიმობის შეწყვეტის რჩევა გამოსავლის ნაჩქარევი ძიების შედეგი შეიძლება იყოს. მშობლების მხრიდან უნარშეზღუდულ ბავშვზე უარის თქმის თავდაპირველი პოზიცია ფეხმძიმობის პერიოდში შეიძლება ისე შეიცვალოს, რომ ბავშვი მერე სიყვარულით მიიღონ.

უნარშეზღუდულ პირებთან და მათ ოჯახებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან შეიძლება დავასკვნათ:

ფოტოები: © fizkes - stock.adobe.com, © Halfpoint - stock.adobe.com

- უნარშეზღუდულობის მიუხედავად სიცოცხლე ძვირფასია;
- უნარშეზღუდულობის მიუხედავად ადამიანს სავსე ცხოვრება შეიძლება ჰქონდეს.
- როგორც წესი, თავად უნარშეზღუდულები აფასებენ თავიანთ სიცოცხლეს და, შეძლებისდაგვარად, კმაყოფილები არიან ამით;
- იშვიათი არ არის, როცა მშობლებს განსაკუთრებული სიყვარული უჩნდებათ მათი უნარშეზღუდული ბავშვების მიმართ;
- უნარშეზრუდულებს ან სნეულ ადამიანებს ხშირად განსაკუთრებული ნიჭი და უნარი აქვთ. მაგ., დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს კომუნიკაციის დიდი უნარის გამომუშავება შეუძლიათ, რაც მათი ოჯახებისათვის სიმდიდრის მომტანი შეიძლება იყოს;
- უნარშეზღუდულ ბავშვებს ისე შეუძლიათ იმოქმედონ ქორწინებაზე/ოჯახზე, რომ მათ სტაბილურობა შეინარჩუნონ.
- კარგი და სასარგებლო იქნება ამგვარ ოჯახებთან და თვითდახმარების ჯგუფებთან კონტაქტის დამყარება. .

პრენატალური დიაგნოსტიკის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ნაკლებს, რომლებიც დაბადების შემდეგ შეუთავსებელია სიცოცხლესთან, ანდა, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ბავშვები დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ კვდებიან. ექიმები ამ შემთხვევაში ხშირად ფეხმძიმობის შეწყვეტას სთავაზობენ პაციენტს.

მაშინაც კი, თუ ადამიანურად გასაგები მიზეზები არსებობს იმისათვის, რომ დაავადებული ბავშვის უარყოფა მოხდეს, ამ გადაწყვეტილების დიდი მნიშვნელობის გამო ეკლესიის პოზიციაც უნდა იქნას გათვალისწინებული. თუ სასულიერო საუბრების სურვილი არსებობს, მაშინ, პირველ რიგში, მოციქულს უნდა მიმართონ, რომელიც სულიერად იზრუნებს მათზე. უნდა აღინიშნოს, რომ სნეული ან არასასურველი ადამიანის მოკვლა პრინციპულად ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას. და ბოლოს, ამაში იმ სიცოცხლის მოკვდინებაც შედის, რომელიც სავარაუდოდ დაბადების შემდეგ მოკვდება ან სულ ცოტა ხნით იცოცხლებს. მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად სასულიერო პირი გაგებით უნდა მოეკიდოს ამ გადაწყვეტილებას და უსიტყვოდ გაუწიოს სასულიერო მზრუნველობა კონკრეტულ პირებს.

ფეხმძიმობა ძალდობის შედეგად

ძალადობის მსხვერპლი ქალები, როგორც წესი, ტრამვირებულები არიან როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. ისინი ხშირად პოსტტრამვული სტრესული აშლილობით იტანჯებიან. ამაში შედის სიტუაციის ხელახლა წარმოსახვა ე.წ. „ფლეშბეკებში“ (ემოციური რეაქციების სპონტანური განახლება, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში), რაც კოშმარებში, ემოციურ დუმბაში (შეგრძნებების დაბუჟება), სიმფრთხალეში, გადაჭარბებულ აღგზნებადობაში, შიშებში, სოციალური კონტაქტებისა და სექსუალური ურთიერთობის თავიდან აცილებაში გამოიხატება.

თუ ფეხმძიმობა გაუპატიურებით არის გამოწვეული, ბავშვმა შეიძლება სიტუაციის ხელახლა წარმოსახვა გააძლიეროს. ასევე შესაძლებელია, რომ მოძალადის მიმართ აგრესია და ამით გამოწვეული გამწარება (უმეტესად გაუცნობიერებლად) დედამ არასასურველ ბავშვზე გადაიტანოს. თუ ქალი ამას გააცნობიერებს, დანაშაულის კომპლექსამდე და სხვა ფსიქიკურ დარღვევებამდე შეიძლება მივიდეს. ასეთმა დაძაბულობამ ბავშვის განვითარებაზეც საკმაოდ მძიმედ შეიძლება იმოქმედოს.

პრობლემები, რომლებიც მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს გაუპატიურებულ ქალზე სასულიერო ზრუნვის შემთხვევაში:

- მას გაუჭირდება გულში ნადების ამოთქმა, განსაკუთრებით მამაკაცთან / სასულიერო პირთან (შეიძლება ეკლესიაში სათანადო ერთმორწმუნე დები იყვნენ, რომლებიც ასეთ შემთხვევაში საკონტაქტო პირები გახდებიან).
- შეიძლება თვითშეფასება დაუქვეითდეს მას.
- შეიძლება შებილწულად იგრძნოს თავი.
- ზოგიერთ ქალს არასწორად ჰგონია, რომ თავადაც დამნაშავეა. .

პრინციპში თავი უნდა შევიკავოთ იმისგან, რომ გაუპატიურებაში ქალის ბრალიც ვეძიოთ. რეკომენდირებულია ასეთი ქალის ფსიქოთერაპიული დახმარება. არ შეიძლება, რომ მომხდარი ფაქტის გასაჩივრება გადავათქმევინოთ. სასულიერო პირები ჩასახული სიცოცხლის დამცველები არიან. ამიტომაც ისინი, ერთი მხრივ, მაქსიმალური ყურადღებით უნდა მოეკიდონ იმას, რაც ქალმა განიცადა, მეორე მხრივ კი, მას ბავშვის გაჩენაზე და მისი გაშვილების შესაძლებლობაზე უნდა დაელაპარაკონ.

მეურვეობის ქვეშ მყოფი ქალები

დაავადების ტიპისა და მისი გამოვლინების მიხედვით მძიმე ფსიქიური აშლილობის ან მძიმე ფსიქიური დაავადების მქონე ქალს საკუთარ თავზე პაუხისმგებლობის აღება არ შეუძლია და, ამდენად, ეს პასუხისმგებლობა ეკისრება მის კანონიერ წარმომადგენელს (მშობლებს, მეურვეს). როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში შეუძლებელია, რომ დაავადებულებმა, როგორც დედ-მამამ, შვილზე იზრუნონ.

ამგვარ სიტუაციებში განიხილება საკითხი იმის შესახებ, ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო ფეხმძიმობის ვადის ბოლომდე მიყვანა საპასუხისმგებლო ხომ არ იქნება დედისა და შვილისათვის.

სიცოცხლესთან დაკავშირებულ თავის პოზიციას ეკლესია არ ცვლის, მაგრამ, საბოლო ჯამში, პატივს სცემს პასუხისმგებელი პირის მიერ მიღებულ გადაწყეტილებას.

არასრულწლოვანთა ფეხმძიმობა

არასრულწლოვანთა ფეხმძიმობის დროს საკმაოდ დიდი პრობლემები შეიძლება გაჩნდეს, თუ განათლება და ფიზიკური განვითარება სრულწლოვანებამდე ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ხშირად ფეხმძიმეს არა აქვს საკუთარი შემოსავალი. აქედან გამომდინარე, როგორც წესი, მას არ შეუძლია, მარტომ იზრუნოს ბავშვზე, ამიტომ ფეხმძიმობის გაგრძელების გადაწყვეტილებას ასეთ შემთხვევაში იშვიათად იღებს თავად ფეხმძიმე.

ასეთ სიტუაციაში მის მხარდასაჭერად და ახალი სიცოცხლის მისაღებად ბავშვის მამა, ასევე ფეხმძიმე გოგოსა და ბავშვის მამის მშობლებიც უნდა იყვნენ ჩართულნი კონსულტაციებსა და სასულიერო მზრუნველობაში. ამისათვის ფეხმძიმე გოგოს თანხმობაა საჭირო. საკონსულტაციო ცენტრებს ფინანსური და სოციალური დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ მათთვის.

აბორტი და დანაშაული

აბორტი მეხუთე მცნების დარღვევაა და შესაბამისად ცოდვა. პასუხისმგებლობა ფეხმძიმობის შეწყვეტაზე ორივე მშობელს ეკისება. ცოდვასთან დაკავშირებული დანაშაული ღმერთის წინაშე ცალკეული თანმხლები გარემოებების ფონზე მცირე შეიძლება იყოს. თუმცა პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაზარალებულებში საკმაოდ გამძაფრებულია დანაშაულის შეგრძნება. აბორტის შემთხვევაში ქალს ფსიქოლოგიურად შეიძლება დაეხმაროს ღვთისათვის შენდობის თხოვნა და მისგან წყალობის მიღება.

გაშვილება როგორც ალტერნატივა

დაგეგმილი აბორტის ალტერნატივა გაშვილება შეიძლება იყოს. შვილად აყვანის დროს (ბავშვის მიღება) დედაშვილური და მამაშვილური ურთიერთობა ყალიბდება, ბავშვის წარმომავლობის მიუხედავად. შვილად აყვანის საიდუმლოდ შენახვასთან ერთად, როდესაც ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებსა და თავად ბავშვსა და მის ახალ ოჯახს შორის არანაირი კავშირი არ არსებობს, არის „სანახევროდ ღია შვილად აყვანა“, როდესაც ბავშვის ბიოლოგიურ მშობლებსა და ბავშვს შორის კონტაქტის შენარჩუნება შეიძლება წერილებისა და ფოტოების მეშვეობით, ნეიტრალურ მისამართზე. „სანახევროდ ღია შვილად აყვანის“ შემთხვევაში ბიოლოგიური მშობლები და მშვილებლები ერთმანეთს იცნობენ და მუდმივი კონტაქტიც აქვთ. „სანახევროდ ღია შვილად აყვანა“ ხშირად ერთი ოჯახის შიგნით ან მეგობრებს შორის ხდება.

პრევენცია კონტრაცეფციის საშუალებით

ოჯახის დაგეგმვა სხვადასხვა მეთოდებისა და მედიკამენტების მეშვეობით, რომლებიც ხელს უშლიან კვერცხუჯრედისა და სპერმატოზოიდის შერწყმას, რეკომენდირებულია იმისათვის, რომ არასასურველი ფეხმძიმობა და აქედან გამომდინარე აბორტის შედეგები იქნას თავიდან აცილებული.

მოკლე განცხადება

ახალსამოციქულო ეკლესია თავს სიცოცხლის დამცველად თვლის. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი უკვე ინდივიდუალური სიცოცხლეა, რომელიც დაცვის უფლებით სარგებლობს. ახალსამოციქულო ეკლესია უგულვებელყოფს აბორტებს, რამეთუ ფეხმძიმობის შეწყვეტა მეხუთე მცნების დარღვევას წარმოადგენს. ცხოვრებისეული გარემოებებიდან გამომდინარე, ამასთან დაკავშირებული დანაშაული სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს ღმერთის წინაშე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ აბორტის გასაკეთებლად ადამიანურად გასაგები მიზეზები არსებობს, ასეთი გადაწყვეტილების შორსმიმავალი შედეგების გამო ეკლესიის პოზიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. დედები ან წყვილები, რომლებისთვისაც მიუღებელია არსებული სამედიცინო, პიროვნული და თეოლოგიური შეხედულებები, შეუძლიათ იმის იმედად იყვნენ, რომ ეკლესია პატივს სცემს მათ გადაწყვეტილებას აბორტთან დაკავშირებით (მომხრე ან წინააღმდეგი) და მიუკერძოებლად იზრუნებს მათზე.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ფოტოები: ჯესიკა კრემერი, ოლივერ რაუტენი

სასულიერო თანამდებობა, ქალი და ბიბლია!

კითხვას „რა“ მოსდევს კითხვა „ვინ“: 2021 წლის დღის წესრიგის მთავარ პუნქტს სასულიერო თანამდებობის გაგების გაღრმავება წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით იყო პირველი პასუხები, და რაც მთავარია, განხორციელების დეტალური გეგმა.

2014 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა სასულიერო თანამდებობის გაგების ყოვლისმომცველი ფორმულირების ჩამოყალიბებაზე. დღემდე არსებული შედეგები მოიცავს თეოლოგიურ საფუძვლებს, რომლებიც ორბუნებოვნების შესახებ მოძღვრებას ეყრდნობა, და რომელიც სასულიერო თანამდებობის სამნაწილიან სტრუქტურაზე კონცენტრირებამდე მიდის.

კითხვაზე „რა“ გაცემულ პასუხებს მოსდევს კითხვები „ვინ“-თან დაკავშირებით. პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა ჯერ კიდევ 2014 წლის ეკლესიის საერთაშორისო დღეზე ცხადყო, რომ ამგვარი მიდგომა: „ჩვენ არ გვყავს საკმარისი კაცები, ამიტომაც თქვენ, ქალებმა, იქადაგეთ“, არ არის კარგი ამოსავალი წერტილი. თუმცა ისეთი შეკითხვებიც არსებობს, როგორიცაა: რა არის საზოგადოებისათვის მისაღები?

ქალი და კაცი თანასწორნი არიან

ის თუ როგორ მიმდინარეობს ამასთან დაკავშირებული კონსულტაციები, ეკლესიის მეთაურმა 2021 წლის ყოველწლიურ ინტერვიუში განმარტა. შესაბამისად, ამას მოსდევს ისეთ ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება, როგორიცაა: რას ამბობს ღმერთი? რას ამბობს ბიბლია? რას ამბობს ეკლესია? რას ამბობს რეგიონალური კულტურა?

პირველ კითხვას - ღვთის ნების შესატყვისად - უკვე გაეცა პასუხი შემოქმედების ბიბლიურ ისტორიაზე დაყრდნობით. ეს საკითხი სამხ. მოციქულთა კრებამ 2020 წლის ნოემბერში განიხილა და 2021 წლის მარტიდან მოძღვრებითი წერილი გამოაქვეყნა თემაზე: „ქალისა და კაცის ღვთისხატობა“. მისი ძირითადი ფორმულირებებია:

სამხ. მოციქულის თანაშემწეები, სამხ. მოციქულები და პირველმოციქული სამხ. მოციქულთა კონფერენციაზე

ქალი და კაცი ორივე თანაბრად წარმოადგენს ღვთის ხატს. მათ ერთმანეთი ერთნაირად სჭირდებათ, ერთი და იგივე არსისა და ღირსების მატარებელები არიან.

ქალი და კაცი ერთნაირად არიან მოწოდებულნი, დაიცვან და გაანაშენიანონ შემოქმედება. ამასთანავე, ღმერთმა ისინი მმართველობისა და მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში არ განამწესა.

ქალისა და კაცის ამოცანების გაგება განსხვავებულია, ვინაიდან მასში საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური განვითარებაც აისახება.

უწინ შინაარსი, ვიდრე ავტორი

ბიბლიის შემდგომი კვლევის შედეგების მიხედვით მეორე კითხვა ორი კუთხით მუშავდება: რამ უბიძგა იესოს, რომ მოციქულობისათვის მხოლოდ მამაკაცები აერჩია? და რას ამბობს ადრეული ეკლესია ქალის როლზე?

2021 წლის ნოემბერში ახალსამოციქულო ეკლესიამ ამ კონტექსტთან მიმართებაშიც წარადგინა თავისი პოზიცია, როგორც ბიბლიის განმარტების ძირითადი ხაზი, რის თანახმადაც ბიბლიურ წიგნებს სულიერი ავტორიტეტი შინაარსიდან გამომდინარე ენიჭება და არა ავტორის სახელით.

მიღებული გადაწყვეტილება დეტალურად:

- „ბიბლიური წიგნების შემქმნელი სინამდვილეში ღმერთია. ბიბლიური წერილების ავტორიტეტი მათ ღვთიურ ინსპირაციას ეფუძნება და არ არის დამოკიდებული ავტორებზე - იმის მიუხედავად, იყვნენ ისინი მოციქულები და წინასწარმეტყველნი თუ არა.

ამდენად, განმარტებით კვლევებს იმის შესახებ, თუ ვინ არის ამა თუ იმ წერილის ავტორი, წერილის ავტორიტეტისათვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

- მოციქულობის მოძღვრებითი უფლებამოსილება ცალკეული ტექსტის განმარტების პრობლემის გადაჭრას კი არ ემსახურება, არამედ უფრო იმისათვის არის მოცემული, რომ უზრუნველყოს ეკლესიის მოძღვრებისა და მისი უწყების სიწმიდე.“

დამოუკიდებლად, საკუთარი ტემპით

ბევრი რამ ნათელია: ეკლესიის ხელმძღვნელობას არ სურს გადაწყვეტილების მიღების დროს ზეწოლის ქვეშ მოექცეს - იყოს მომხრე ან მოწინააღმდეგე. „ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არ მოხდეს მისი ნაჩქარევად და მხოლოდ საზოგადოებაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით განხილვა“, განაცხადა პირველმოციქულმა სამხარეო მოციქულთა ბოლო კრებაზე. „ჩვენ ჩვენი ტემპით წავალთ წინ, გადაწყვეტილებას მთლიანად ახალსამოციქულო ეკლესიის სასარგებლოდ მივიღებთ და არა ამა თუ იმ მხარის.“

ამასთანავე, ეკლესიის მეთაურმა გასული ათწლეულების მანძილზე მიღწეულ განვითარებასაც გაუსვა ხაზი: უპ. ყოვლისა, ეკლესიის გაგების ახსნის პროცესის დასაწყისს პირველმოციქულ ფერის მოღვაწეობის დროს და ნათლობის აღიარებას მისი მემკვიდრის, ვილჰელმ ლებერის, მოღვაწეობის დროს. „ამას წლები დასჭირდა,“ განაცხადა მოქმედმა პირველმოციქულმა შეჯამების სახით.

თუმცა არსებობს ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავება გადაწყვეტილების მიღების მიმდინარე პროცესთან მიმართებაში. რაც შეეხება საზოგადოებასთან ურთიერთობას, ეკლესია ბევრად უფრო გახსნილია, ვიდრე ოდესმე: საეკლესიო მედიას ამჯერად აქვს იმის შესაძლებლობა, რომ განვითრების პროცესს თავიდანვე ადევნოს თვალ-ყური და დეტალურად გააცნოს იგი ყველა დაინტერესებულ პირს.

პროგრამა

15.04.2022 წ.	ჟენევა (შვეიცარია)
17.04.2022 წ.	ოსნაბრიუკი (გერმანია)
24.04.2022 წ.	ჰამბრგ-ეპენდორფი (გერმანია)
01.05.2022 წ.	სიდნეი (ავსტრალია)
08.05.2022 წ.	მადანგი (პაპუა-ახალი გვინეა)
22.05.2022 წ.	ბერლინი (გერმანია)
26.05.2022 წ.	შვაბიის ჰალი (გერმანია)
29.05.2022 წ.	ბოხუმი (გერმანია)
05.06.2022 წ.	ბუენოს-აირესი (არგენტინა)
18.06.2022 წ.	ჩუნდაპონდე (ზამბია)
19.06.2022 წ.	მაზაბუკა (ზამბია)

New Apostolic Church
International